კითხვა N1 - რა პრობლემები იკვეთება შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის კუთხით და როგორ გესახებათ პრობლემის გადაჭრის გზები?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თვითრეალიზებისა და სრულფასოვანი ცხოვრების პირობების შექმნისთვის აუცილებელია, იმგვარი გარემოს შექმნა, სადაც ისინი საზოგადოების სრულუფლებიან და დამოუკიდებელ წევრებად იგრძნობენ თავს და საჭიროებებზე თანაბარი შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა ექნებათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა ორგანიზაციების, დაწესებულების შენობების, საცხოვრებელი კორპუსების, კვების ობიექტებისა და სხვა ინფრასტრუქტურის შშმ პირთა საჭიროებებზე მორგება, ასევე, მნიშვნელოვანია ამ პროცესში სახელმწიფოსთან ერთად, თანაბრად ჩართული იყოს საზოგადოებაც, რათა ერთობლივად შევძლოთ უზრუნველვყოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების რეალიზება.

კითხვა N4 - რამდენად აქვთ დამსაქმებლებს გათვალისწინებული შშმ პირთა სპეციფიკა ვაკანსიის გამოცხადებისას (მაგ: რამდენად აქვთ დამსაქმებლებს იდენტიფიცირებული ისეთი ადგილები, სადაც შესაძლებელია დასაქმდეს შშმ პირი)?

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სამსახურში ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად კონკურსები ცხადდება სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე, შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების აუცილებელ ველად დაემატოს შშმ პირთა სპეციფიკის ნაწილი, რაც თითოეულ საჯარო დაწესებულებას დაავალდებულებს კონკურსის გამოცხადებისას გაითვალისწინოს აღნიშნული სპეციფიკა და ეს შშმ პირებს მისცემს საშუალებას წინასწარ განსაზღვრონ მათზე მორგებული ვაკანსიები.